პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 148 (26489) — ოთხშაბათი, 28 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

26 ივნისს, საღამოს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სხდომა.

პალატის თავმჯდომარემ **ე. ბ. პრიმაკოვმა** შემოიტანა წინადადება აირჩიონ კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი ა. ა. მოკანუ, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახლადფელი თავმჯდომარე. ე. ბ. პრიმაკოვმა დაახასიათა ა. ა. მოკანუ, აღნიშნა მისი დიდი ცხოვრებიესული გამოცდილება, კარგი სკოლა, რომელიც დეპუტატმა გამოიარა მოლდავეთის რესპუბლიკაში სხვადასხვა პასუხისაგებ პოსტებზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობისას.

დეპუტატთა კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ა. ა. მოკანუ ხმის უმრავლესობით აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

დეპუტატები გადავიდნენ სესიის დღის წესრიგის განხილვაზე, დეპუტატებს ზოგიერთი განმარტებით მიმართა სხდომის თავმჯდომარემ **ე. ბ. პრიმაკოვმა.** დღის წესრიგში ამა თუ იმ კანონპროექტის შეტანა, — თქვა მან, — სულაც არ ნიშნავს, რომ ახლანდელი სესია პროექტს კანონად მიიღებს. შემოთავაზებული სესიის დღის წესრიგი არ არის საბოლოო, ვინაიდან არ ამოწურავს ყველა საკითხს, რომლებიც სისიამ უნდა განიხილოს. შეიძლება შემოტანილ იქნეს კანონპროექტები პირველი წაკითხვისათვის.

მოცემული დღის წესრიგის შედგენისას, აღნიშნა სხდომის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ხელმძღვანელობდა იმით, რომ ახლანდელ სესიაზე უნდა დავამტკიცოთ მთავრობა და განვიხილოთ მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებმაც უკვე გაიარეს რაღაც ამობრეგია, ან ცობილია პუბლიკაციის შედეგად, ანდა ყრილობის დავალებით განხილულ უნდა იქნეს პირველ რიგში.

განსახილველ საკითხზე ერთგვარი ახსნა-განმარტებებით დეპუტატებს მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ა. ი. লুকიანოვმა.** ხმის უმრავლესობით იღებენ დღის წესრიგს. ეროვნებათა საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ ნავარაუდევია მასში დამატებით შეიტანონ კანონპროექტ ე ბ ი ს მსვლელობის შესახებ კანონის მიღების საკითხი.

მიღებულია აგრეთვე სესიის მუშაობის წესი.

დეპუტატები შეუდგნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს კომისიებისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის დამტკიცებასთან დაკავშირებული დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას.

პალატა ამტკიცებს კომისიების შემადგენლობას: საგეგმო და საბიჯეტო-საფინანსო; მრეწველობის, ენერგეტიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების საკითხთა; ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის საკითხთა; შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა.

წინადადებაა დაამტკიცონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობა.

კენჭისყრით პალატა ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის შემადგენლობას.

გაცხოველებული კამათი გაიმართა თავდაცვის და სახელმწიფო უშიშროების საკითხთა კომიტეტის შემადგენლობის განხილვისას. ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს დეპუტატებისაგან მიღებული წინადადებების გათვალისწინებით პალატა ამტკიცებს თავდაცვის და სახელმწიფო უშიშროების საკითხთა კომიტეტის შემადგენლობას და შეჰყავს მასში ყაზახეთისა და ლიტვის მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

— ამტკიცებენ აგრეთვე კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა; სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა; ეკონომიკური რეფორმების საკითხთა; აგრარულ საკითხთა და სასურსათო, მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხთა; მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და აღზრდის; ხალხის ჯანმრთელობის დაცვის; ქალთა, ოჯახის, დედისა და ბავშვის დაცვის საქმეთა; ვეტერანებისა და ინვალიდების საქმეთა; ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა; სპორტობის, ბოქალაქეთა უფლებებისა და მიმართვების საკითხთა კომიტეტების შემადგენლობა.

ამრიგად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა კომიტეტი არჩეულია.

• • •

27 ივნისი, დილის 10 საათი. მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სეანსმა.

პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მოხსენება სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ი. რიჟკოვმა.**

სხვადასხვა პრობლემას ეხებოდა კითხვები, მომხსენებელს, რომ დაუსვეს. ზოგიერთი მთვანი სცილდებოდა მოხსენების ფარგლებს.

სხდომის თავმჯდომარისადმი თხოვნაზე, მოეწოდებინა დეპუტატებისათვის, რომ ნ. ი. რიჟკოვისათვის მიეცათ მხოლოდ კონკრეტული კითხვები მის მიერ გაკეთებული მოხსენების თაობაზე, **მ. ს. გორბაჩოვმა** უპასუხა: მე უფრო დემოკრატიულად ვარ განწყობილი. თუ დეპუტატს რაღაცაზე შესტკივა გული, დასვას კითხვა, სანამ მის წინაშეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ დეპუტატებმაც უნდა გაითვალისწინონ თქვენი აზრი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა, როცა შეეხო მთავრობის გადადგომის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ გაუძღვება დაკისრებულ ამოცანებს, აღნიშნა, რომ შემდგომში შესაძლოა შემოიღონ „ნდობის ვოტუმის“ ცნება. მაგრამ თვით თავიდან მოსაშორებლაც, ხაზგასმით აღნიშნა მან, უფლება უნდა ჰქონდეს გადადგეს შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით.

შეეხო რა საბჭოებისათვის ძალაუფლების მთელი სისრულით გადაცემის პრობლემებს, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საერთო საკითხებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პირველი მოადგილის შეჰოღებული თანამდებობა მოწოდებული გახდეს დამაკავშირებელი რგოლი მინისტრთა საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს შორის.

ძირითადად განიხილეს მთავრობის სტრუქტურის, სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოების სრულყოფის საკითხები. ნ. ი. რიჟკოვმა განაცხადა, რომ სოციალური ფონდების შევსების, ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიზნობრივი განვითარების წყარო უნდა გახდეს კაპიტალდანადებათა ზრდის ტემპის შემცირება, რაც დასახულია მომავალ ხუთწლედში. მან დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საბოლოოდ შექმნან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანო — სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისია, აგრეთვე საჭიროდ ცნო, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე დემოკრატიულ საფუძველზე ჩამოყალიბდეს რამდენიმე საწარმოო კონცერნი.

პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებით მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ აპირებს მტკიცედ დაიცვას მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში მის მიერ დასახელებული მთელი რიგი კანდიდატურები. ნ. ი. რიჟკოვს დაუსვეს კითხვა სსრ კავშირის მინისტრების შრომის ანაზღაურების შესახებ. მან თქვა, რომ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ხელფასი ახლა შეადგენს 700-800 მანეთს.

მ. ს. გორბაჩოვი: კარგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იღებს 1.200-1.700 მანეთს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წინასწარი წესით ფიქრობენ საკითხი, როგორ იცხოვრონ და იმუშაონ უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითი ვიხელმძღვანელონ. დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარეს ახალ დანიშვნამდე ერთიორად მეტი ჰქონდა, ვიდრე მათი ახლანდელი სავარაუდო ხელფასია. სწორედ ასეა საქმე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთ წევრთან დაკავშირებითაც. როგორ მოვიქცეთ? ჯერჯერობით საკითხს ვსწავლობთ, მაგალითად, პარტიულ მუშაკთა ხელფასის საკითხს. ამის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პარტიის სასოფლო რაიონული კომიტეტის მდივანი მეურნეობის განყოფილების მმართველის დონეზე იღებს ახლა ხელფასს — 350 მანეთს. სინამდვილეში კი საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველის საშუალო ხელფასი 700 მანეთია. როგორ ვაპირებთ რაიკომის მდივნის პოსტზე დავნიშნოთ ყველანაირ, დედა იმასაც ჰყავსო.

შვილი კი მაშინ მხოლოდ 24 წლისა იყო.

დონბასის ქვანახშირის აუზი საბჭოთა კავშირში წამყვანია. ამდენად იქ მუშაობა კიტა კიზირიასთვის უდიდესი სკოლა გამოდგა. ყველაფერი ხომ კარგად მიდიოდა, მაგრამ ქართველ კაცს გული სამშობლოსკენ მოუწევედა. მით უფრო, რომ დედა ელოდებოდა, სხვათათვის თითქოს დინჯად, მოთმინებით, მაგრამ შინაგანი მღელვარებითა და მოუთმენლობით.

საქართველოში 1956 წელს დაბრუნდა. „საქნახშირმა“ ტყვარჩელში გაანაწილა.

ყველაფერი თითქმის თავიდან დაიწყო.

უბნის უფროსად მუშაობდა და მერე თავისი დონბასისადრონდელი თანამდებობაც დაიბრუნა. შახტის მთავარი ინჟინერი გახდა. ეს იყო 1958 წელს. მერე იყო შახტის უფროსი, შახტთსამმართველოს დირექტორი, გაერთიანების ტექნიკური დირექტორი. როდესაც დადგა საკითხი ტყვარჩელის სამადოში ყველა შახტისა და სამსახურის გაერთიანების შესახებ, აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის მოწადინებით, ამ შახტთსამმართველოს დირექტორად მიიწვიეს.

და როგორც უკვე გითხარით, ახლახანს კიტა კიზირია „საქნახშირის“ გაერთიანების გენერალურ დირექტორად აირჩიეს. მაშინ ყველამ მხარი დაუჭირა მის სამოქმედო პროგრამას, რომელშიც გამოკვეთილი იყო სამი ძირითადი პრობლემა.

პრობლემა პირველი: საგადოების ბონივრული ეკსპლოატაცია

ახალი გენერალური დირექტორი თვლის, რომ ამ ბოლო ხანს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ახალი შახტების და ჰორიზონტების მშენებლობას. მარაგის ათვისება კი გვინდოდა, მაგრამ საამისოდ ტექნიკური და სამუშაო პირობების შექმნაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ამით ჩვენი შახტების საწარმოო სიმძლავრეები ვერ შეეინარჩუნეთ. სტატისტიკა კონკრეტულად გვეუბნება, რომ ბოლო ათწლეულში ამ ძვირფასი წიაღისეულის ამოღება 30 პროცენტით შემცირდა. ჩვენი სახალხო მეურნეობა კი ამ სახეობის სათბობის ნაკლებობას განიცდის.

„საქნახშირის“ გენერალური დირექტორის პროგრამაში ასეთი საკითხიც არის: განვავითაროთ საშახტო ფონდი, განსაკუთრებით ტყიბულის აუზში, სადაც 300 მილიონ ტონამდე დაზვერილი ნახშირია. ამ საქმეში მხარში ამოგვდგა ქვანახშირის საკავშირო სამინისტრო. იგი სათანადო ფულადი რესურსებითა და ნახშირის ამოღების ტექნოლოგიური სქემების შედგენით გვეხმარება. ვფიქრობთ, გადავიდეთ ჰიდრომონგრევასა და ტრანსპორტირებაზე, ყოველივე ეს შესამჩნევად გაუუჯობესებს ჩვენს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

გადაწყვეტილია ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის ჩაღრმავება, რაც დამატებით 20 მილიონ ტონა ქვანახშირს მოგვცემს. ფიქრობენ, ორჯონიკიძის სახელობის შახტის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე.

თითქმის სულ ათვისებულია ტყვარჩელის სამადო. მაგრამ კიტა კიზირია თვლის, რომ იქ კიდევ 10 მილიონი ტონა ქვანახშირია. იგი განლაგებულია სამადოს პერიფერიულ ნაწილში და აუცილებელია მისი ამოღება.

რაც შეეხება ახალციხის სამადოს, იგი პრაქტიკულად დაკეტილია. ახალი გენერალური დირექტორი ფიქრობს, რომ იქ არსებული მურა ნახშირი სოფლის მეურნეობაში სასუქად გამოდგება. რაც მთავარია, ამგვარ სასუქებში ნიტრატები საერთოდ არ არის და ამდენად რესპუბლიკის უნაყოფო ნიადაგებზე მისი გამოყენება მიწას ნაყოფიერ სახნავ-სათესად გადაქცევს. ასე რომ, ახლა საჭიროა ამ საკითხის ღრმა მეცნიერულ დონეზე შესწავლა და იდეის პრაქტიკული განხორციელება.

პრობლემა მეორე: ეკოლოგია

— ეკოლოგიის საკითხი ჩვენს სისტემაში მტკივნეული პრობლემაა,—ამბობს დირექტორი, — საჭიროა სათანადო სახსრების გამონახვა და მათი რაციონალურად ათვისება, რათა მეშახტეთა ნაკვალევზე გავერანებული ტერიტორია არ დარჩეს.

უნდა აშენდეს გამწმენდი ნაგებობანი. საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებები ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ. უნდა ჩატარდეს რეკულტივაცია (მიწის აღდგენა). ამისთვის მიწა უნდა შევზიდოთ იქ, სადაც ქვანახშირი ამოვიღეთ.

პრობლემა მესამე: მეშახტეთა ცხოვრება

მეშახტეთა პროფესია ადრე უფრო დაფასებული იყო. დღეს ეს დარგი თითქოს ნაკლებად პრესტიჟული გახდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სწორად ვეღარ ვითარდება მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობები. დღეს „საქნახშირის“ სისტემაში ბინას ელოდება ან საბინაო პირობებს გაუჯობესებას მოითხოვს 800 ოჯახი. საჭიროა გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა, ამისათვის, და აგრეთვე სამახტო ფონდის მშენებლობის განვითარებისათვის, „საქნახშირის“ გენერალურ დირექტორს საჭიროდ მიაჩნია სამშენებლო ტრესტის შექმნა. ამ სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა შეძლოს მეშახტეთა ბინებით უზრუნველყოფა. საქმე ის არის, რომ არსებული სამშენებლო საშუალებები, რომლებიც საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს ექვემდებარებიან, ვერ უპასუხებენ მეშახტეთა მზარდ მოთხოვნებს. თუ შეიქმნება საგანგებო სამშენებლო ტრესტი, იგი მარტოოდენ „საქნახშირის“ დაკვეთებზე იმუშავებს. დაკვეთებში გათვალისწინებული იქნება დღევანდელი მოთხოვნები, როგორც საშახტო მშენებლობაში, ასევე სოციალურ სფეროში, რაც უპირველესად ბინათმშენებლობას ითვალისწინებს.

ეს ტრესტი, თუ იგი შეიქმნება, ჩვენი სახსრებით დაფინანსდება და აირსებებს, ფიქრობს კიტა კიზირია. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „საქნახშირის“ სისტემა წლევანდელი 1 იანვრიდან თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადავიდა. ამდენად მას აქვს იმის საშუალება, რომ საკუთარ პრობლემებს თავადვე მიხედოს.

ჩვენ მოკლედ შევეხეთ ბევრ საკითხს, მაგრამ მკითხველი, ვფიქრობთ, იმითაც მიხვდება, რომ ახლადარჩეული გენერალური დირექტორი მშვენივრად ხედავს მის წინაშე მდგარ პრობლემებს და მათ გადასაწყვეტად საკუთარი კონცეფციებიც შეუმუშავებია.

ქართველ მეშახტეებს სჯერათ ამ პროგრამის განხორციელებისა. ამდენად სჯერთ ახალი, მაგრამ გამოცდილი და დაბრძენებული წინამძღოლისაც. წინაღმდეგ შემთხვევაში ისინი კიტა კიზირიას გენერალურ დირექტორად არ აირჩევდნენ.

ჯემალ ძუნაძეები,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

სურათზე: კიტა კიზირია.
ბონდო ჯაღლაშერიძის ფოტო.

სოციალური სფერო

შევხედოთ სიმართლეს თვალებში

ეროვნული ინციდენტები

დღეს ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ დაუყონებლივ შევაჩეროთ ნეგატიური მოვლენების ზრდა და მოვაწესრიგოთ ბაზრის მდგომარეობა, რის შესახებაც არაერთხელ ითქვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე. ამისთვის მთავარია საქონლის წარმოებისა და მომსახურების სწრაფი ზრდა, რათა უზრუნველვყოთ საქონლო ფონდების უპირატესი მატება მოსახლეობის ფულად შემოსავალთან შედარებით.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 11 ივნისს დასტამბულ სტატიაში და მათზე ამჟამად აღარ შევჩერდებით.

ამიტომ პირდაპირ გადავდიგართ ფასიანი მომსახურების საკითხებზე. იმის თქმა, თითქოს ამ მხრივ ხელშესახები არაფერი გაკეთებულიყოს, არ იქნებოდა სწორი. ხუთწლედის სამ წელიწადში მთლიანად ქვეყანაში მომსახურების მოცულობა თითქმის 38 პროცენტით გაიზარდა, რაც აღემატება ნავარაუდევს. ზრდის ტენდენცია დაისახა ჩვენს რესპუბლიკაშიც. გაპარ ხუთ თვეში მოსახლეობას გაეწია 369,4 მილიონი მანეთის მომსახურება. ეს მნიშვნელოვნად — 6,7 პროცენტით ჭარბობს შარშანდელ შესაბამის პერიოდის მაჩვენებელს და გეგმაზეც მეტია. მაგრამ ჯერ არ შექმნილა მომსახურების ნამდვილი ინდუსტრია, რამაც ძირეულად უნდა გარდაქმნას ეს სფერო.

ვიდრე ამისათვის არ მიგვიღწევია, დასახულია გადაუდებელი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამაც გარკვეულწილად უნდა დაგვაძლევინოს ამ მხრივ არსებული სირთულენი. უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია იმაზე, რომ მრეწველობის ყველა დარგს, საწარმოს დაეკალა ეძიოს და უთუოდ გამოხახოს გზები ფასიანი მომსახურების მკვეთრი განვითარებისათვის. ბევრი საწარმოს ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ამ საქმეს და არც თუ ცუდ შედეგს მიაღწია. სწორედ ამით არის განპირობებული მომსახურების სფეროს შედარებითი წინსვლა.

ამავე დროს სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სხვა ორგანიზაციების დიდი ნაწილი ყველაზინდებურად უპასუხისმგებლოდ ეკიდება მომსახურების სფეროს, ვერ თავისუფლდება ძველებური აზროვნებისაგან და, ფაქტობრივად, ეწინააღმდეგება გარდაქმნას. საქმისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ხუთ თვეში დაკარგეთ 10950 ათასი მანეთის მომსახურების გაწევის შესაძლებლობა. ადვილი წარმოსადგენია რამდენად შემსუბუქდებოდა რესპუბლიკის საერთო ფინანსური მდგომარეობა, ეს რომ ასე არ მომხდარიყო. დანაკლისის დიდი ნაწილი ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს საბჭოს, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს წილად მოდის. ყოველმამაყოფილებლად ზრუნავენ ფასიანი მომსახურების განვითარებისათვის ცეკავშირში, ამიერკავკასიის რკინიგზაზე, საქჰიდროენერგომშენში, „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებაში.

გარკვეულწილად განმეუტა ვაჭრობის სფეროში არსებული დაძაბული მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, საქონლებრუნვის ხუთი თვის გეგმა 35,4 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში 10,4 პროცენტით გადიდდა. სახელმწიფო ვაჭრობაში, კერძოდ, ეს ზრდა კიდევ უფრო ხელშესახებია. რამ განაპირობა მდგომარეობის შედარებითი გაჯანსაღება? რა თქმა უნდა, ამაში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდამ შეასრულა თავისი როლი, მაგრამ ეს ჯერჯერობით მაინც უმნიშვნელოა. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ პერიოდში მთელი 38,5 პროცენტით მეტი ალკოჰოლიანი სასმელი გაიყიდა. კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია. აქვე დავძენთ, რომ მოსახლეობას, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მიეყიდა თითქმის ათი პროცენტით მეტი სასუნსათო და არასასურსათო საქონელი.

პირდაპირ „ცეცხლი უკიდია“ თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, ზუგდიდს და სხვა საკოლმეურნეო ბაზრებს. აქ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,7 პროცენტით მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაიყიდა, მაგრამ ამით ოდნავი შვებაც არ გვიგრძვნია. პირიქით, ფასებმა მთელი 13,4 პროცენტით მოიმატა. ალბათ, გარკვეულწილად, ამანაც განაპირობა, რომ მაისში პროდუქტების გაყიდვა ქ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში 8,5 პროცენტით შემცირდა, მეცხოველეობის პროდუქტების მყიდველთა რიცხვმა კი მოგვცა 12,6 პროცენტით იკლო. ძნელია კილოგრამ საქონლის ხორცში 7, ხოლო კარტოფილში 1,5-2 მანეთი გადიხადოს კაცმა. ამავე დროს სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში იანვარ-აპრილში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 17510 ტონით ნაკლები კარტოფილი და 134 ტონით ნაკლები კიტრი შევიდა. საგრძნობლად — 7,5 ათასი ტონით შემცირდა ვაჭრობისათვის საკონდიტრო ნაწარმის მიწოდებაც, ნავარაუდევზე მნიშვნელოვნად ნაკლები შემოვიდა სავაჭრო ქსელში კვერცხი და მაკარონის ნაწარმი.

მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, ხორცის საშუალო სულადობრივი მოხმარება რესპუბლიკაში მხოლოდ 47 კილოგრამს შეადგენს და არსებითად ჩამორჩება რეკომენდებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე. ასევე ნორმაზე ნაკლები მოიხმარება რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, კარტოფილი, მცენარეული ზეთი და ა. შ. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენს საკოლმეურნეო ბაზრის ფასებზე, რაც ეკონომიკაში, და, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში შექმნილი ვითარების სარკეა.

ძნელია სოციალურ სფეროში არსებული ასეთი ძმიმე სურათის დაუტატო მკითხველს, მაგრამ რას იზამ, ალბათ, სჯობს სიმართლეს თვალებში შეეხედოთ და ღრმად ჩავუფიქრდეთ შექმნილ ვითარებას. ჩვენს გასაკეთებელს არავინ გააკეთებს, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებას ცხოვრება არ გვაპატიებს. კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევისათვის გაათკეცებული ენერგიით უნდა ვიშრომოთ სოფლად და ქალაქად, სხვანაირად ვერაფერს გავხდებით. არადა, გასაკეთებელი მართლაც ძალზე ბევრია — სურსათზე მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ქვეყანაში ახლა 20 მილიარდ მანეთს აღემატება.

ალბათ აღარ უნდა იყოს საჭირო იმის წამდაუწუმ გამეორება, თუ რა უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ 2000 წლისათვის ბინებით ადამიანების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები გადავწყვიტოთ. საერთოდ, როგორც ეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე აღინიშნა, ამ მხრივ ქვეყანაში დაისახა დადებითი ტენდენცია, მაგრამ ამას ჩვენს რესპუბლიკაზე ალბათ ვერ ვიტყვით. ვერ ვიტყვით, რადგან წლევანდელ ხუთ თვეში ბინათმშენებლობის წლიური გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 19,8 პროცენტით შესრულდა, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე ბევრად ნაკლებია. ჩვენი ფასიანი მომსახურების საქონლის გამოშვების ზრდამ შეასრულა თავისი როლი, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ისევ ეკონომიკურ-ეკონომიკური ინციდენტია. ეს ინციდენტი ეროვნული ინციდენტია.

ეროვნული ინციდენტი ეროვნული ინციდენტია. ეროვნული ინციდენტი ეროვნული ინციდენტია. ეროვნული ინციდენტი ეროვნული ინციდენტია.

გავუფრთხილდეთ გარემოს

„კომუნისტის“ რეიდი

მიწა, წიაღისეული, წყალი, ტყე, ყველაფერი, რასაც ბუნება— სიცოცხლის წყარო იძლევა, ხალხის კუთვნილებაა. მისი დაცვა და გაფრთხილება ყოველი ჩვენგანის ვალია. ეს არის კონსტიტუციური მოთხოვნა. ამასვე მოითხოვს ჩვენი მომავალ თაობათა ინტერესები.

მაგრამ ვიცავთ, ეუფრთხილდებით კი მას, როგორც საჭიროა? — სამწუხაროდ, არა.

სწორედ ამის მრავალი ფაქტი გამოაკლინა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ მოწყობილმა რეიდმა.

ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებში გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად ამ ბოლო დროს ბევრი სასარგებლო ღონისძიება გატარდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. ჯერ კიდევ ბევრი, ფრიად ძნიშვნელოვანი და საჭირბოროტო პრობლემა დარჩა გადასაწყვეტი. მაგალითად, აქაური მდინარეები ნამდვილად რომ უყურადღებოდაა. მათ ამბიხურებს როგორც მოსახლეობა, ისე ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება.

ერთ დროს ბროლეიდი, ანკარა პატარა მდინარეები — სუჩა და ბაზრის წყალი, ქალაქ ოზურგეთს რომ ჩამოუდის, განთქმული იყო თევზის ბრეთი სახეობებით. მაგრამ ახლა ისინი ვეღარც სიანკარით მოიწონებენ თავს და ვეღარც თევზებით, რადგან ცალკე მოსახლეობა, ცალკე საწარმოები ყოველგვარი ნარჩენებით, სიბინძურით განუკითხავად აჭუჭყიანებენ.

იმას ვერ ვიტყვით, რომ რაისაბჭოს აღმასკომმა ან ბუნების დაცვის კომიტეტმა ამისთვის არაფერი იღონესო. იღონეს, როგორ არ იღონეს — მდინარეების გაწმენდა-დასუფთავების კვირეული მოაწყვეს. მდინარეებს სიცოცხლე დაუბრუნეს, მაგრამ დროებით... მალევე ისევ გაჭუჭყიანდა.

ეს გაბინძურებული მდინარეები ერთვიან მდინარე ბუჟუს, რომელიც სთავეს გომის მთიდან იღებს. ახლა არ იკითხავთ ბუჟუს მეორე უბედურებას? — რაიონის სამრეწველო კომბინატს გომის მთის ძირში, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ქვის დამშუშავებელი კარიერი (უფროსი გ. მამიკაშვილი) მოუწყვია. აქვე გაუმართავთ ქვის სამსხვრევი და გამწმენდ-გამმასუფთავებელი მანქანა-დანადგარები. ათასობით ტონა ქვა-ღორღი აქვე ჩამდინარე წყაროსავით ანკარა „წისქვილის წყლით“ ირეცხება და მთელი ეს სიბინძურე პირდაპირ ბუჟის წყალში ჩადის. ამა, იქ მის ბინადრებს—წყვერს, კალმახს და ორაგულს რაღა გააჩერებს?

აი ერთი მაგალითიც: საშენ მასალათა კარიერს საბადოდ მიზანში ამოუღია „ნაჯარგვალას“ მთა, რომელიც ცნობილია ტყის ისეთი იშვიათი ჯიშებით, როგორიცაა ცაცხვი, წაბლი, თელა, წიფელი და სხვა. ეს ვეებერთელა ბუღდობერები კი ტყის შუაგულში დეკვიბიით დაამტვრევენ ხოლმე. შეჭყაჟეთ გზა, ექსკავატორები კი ანგრევენ და ანგრევენ ყვითელი ფერის ქანებს. ზედიზედ იტვირთება ავტომანქანა. ამასობაში ჯანი და ღონე ეცლება ნაჯარგვალას მთას. შესაძლოა, ჩამოინგრეს კიდეც. მის დაბლა კი მოსახლეობა ცხოვრობს!... საშენი მასალა რომ საჭიროა, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ ბუნების ასე განადგურება შეიძლება?

„შავი და კასპის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების თაობაზე“ პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად მიინცდამაინც დიდი არაფერი კეთდება. მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები, წარმოება-დაწესებულებები, მათი მესვეურები კვლავ დაუდევრად ეპყრობიან მდინარეებს. ნახმარი, გაუწმეხდავი, ჭუჭყიანი წყლებით ამბინძურებენ. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ბახმაროს“, რომელიც საკმაოდ სოლიდური ორგანიზაციაა და მის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მზარდ მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, არა აქვს გამწმენდი ნაგებობა, რის გამოც ნახმარ, ჭუჭყიან წყლებს პირდაპირ იქვე ჩამდინარე ნატანების წყალში უშვებს. არც ნახმარი ნავთობპროდუქტების დამჭერი საშუალება გააჩნია და საქვაბე მეურნეობიდან ჩამღღვრილი მაზუთი შიგ მდინარეში ეშვება. სამეურნეო ეზოში ანტიასანტარია სუფევს. იგი საბელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო 8.591 მანეთით დაჯარიმეს. დავა სახელმწიფო არბიტრაჟამდე მივიდა, მაგრამ ჯარიმა მთავარი როდია.

ამაზე უარესი ფაქტიც ვნახეთ. ქალაქ ოზურგეთის საკანალიზაციო ქსელის მთავარ გამწმენდ ნაგებობაზე შეერთება დანაშაულებრივად ყოვნდება, ამასობაში კანალიზაციის ვეებერთელა არხიდან გადმოსული მთელი სიბინძურე, ფეკალური მასა სოფელ მერიაში მდინარე ნატანეს უერთდება. მაგრამ ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი ის არის, რომ ეს მყარალი მასა მდინარეში ჩასვლამდე დაზიანებული არხიდან პირდაპირ სამინდის ნათეს ყანებში გადადის და გაუვალი გუბეები დგება.

— დიდი უღმერთობაა, ბიძაკო, ნათეს ფარობში ვერ გვიმუშავია, გავლა ჭირს. ყველგან აუტანელი მყარალი წუმპეები დგას. — შემოგვჩივლა სოფელ მარადის გაუაღარავებულმა კოლმეურნემ შაქრო ჯანელიძემ, — ამა ამოდენა სიბინძურე თოხითა და ბარით გათხრილ არხში გაივლიდა?.. ცოდვა არ არის მდინარის ასე დაბინძურება? აქ ხომ ბავშვები ბანაობენ... ვაი, ასეთ განკითხობას! — გაცხარდა მოხუცი...

— მართალია, მართალი. მარტო ამ მყარალ სუნს როგორ აიტანს კაცი. — კვერი დაუკრეს მომუშავე კოლმეურნეებმა. ამ დროს იქვე მახლობლად მდინარის სანაპიროზე მოთავსებულია გადასატუმბი საგვარი, საიდანაც ეწნეგიანი კოლექტორებით უნდა ხდებოდეს გადაქაჩვა ქობულეთ-ოზურგეთ-ურეკის გამწმენდ ნაგებობებზე; რომლებიც აგებულია შავი ზღვის სანაპიროზე, ლეკიანის ტერიტორიაზე. მაგრამ წლების მანძილზე „სპეცმონტაჟმშენის“ ტრესტის სამტრედიის № 134 მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი ა. ზვანგირაძე) მშენებლებს საკანალიზაციო მაგისტრალის მოსაწესრიგებლად თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. ისარგებლეს რა დამკვეთის—კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველოს სამტრედიის სარაიონთაშორისო განყოფილების მესვეურთა დოყლაპაობით, 1984 წლის 29 დეკემბერს შეადგინეს ყალბი დოკუმენტი მერიის გადასატუმბი სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ და ღვთის ანაბარად მიატოვეს სამშენებლო ობიექტი. მას შემდეგ 5 წელი გავიდა. მეტად საშიში მდგომარეობა შეიქმნა. დღე-ღამეში ათასობით ტონა ფეკალური მასა, კანალიზაციის მთელი სიბინძურე მიშებულია სოფელ მერიისა და ლაითურის ტერიტორიაზე. იქვე მახლობლად კი სასმელი წყლის სათავე ნაგებობანია, რომლითაც სარგებლობენ სოფელ მერიისა და ნატანების ციტრუსოვანთა ექსპერიმენტული მეურნეობის მოსახლეობა და მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებანი. ხომ შეიძლება სიბინძურე სასმელ წყლებში გადინდეს და ეპიდემიამ იფეთქოს?! მერე, ვინ აგებს ამაზე პასუხს?

ესეც არ იყოს, დაზიანებული კანალიზაციის მთელი სიბინძურე აქედან 2-3 კილომეტრის იქით შავ ზღვას უერთდება, შეკვეთილში, რომლის მახლობლადაც კურორტი ურეკი მდებარეობს.

ამ ფაქტს რაღა კომენტარი სჭირდება.

სოფელ წითელმთაში, მდინარე ბუჟის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ცხენსაშენ-იპოდრომის წინ ნაგვის ზვინებია. თვითმცლელი მანქანები განუწყვეტლივ ეზიდებიან ნაგავს და მდინარე ბუჟეში ყრიან. ის კი არა, თავლიდან გამოტანილ მთელ სიბინძურეს პირდაპირ წყალში უშვებენ. აქვეა წყალსადენის თავღია ლითონის ჭა, საიდაც გადის დიდი წყალგამტარი მილი, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს ქალაქ ოზურგეთში არსებულ პანსიონატ „მოსკოვს“. წყალგამტარი მილი ალაგ-ალაგ გაბზარულია, სიანანაც შადრევანივით იფრქვევა წყალი. შეაძლებელია მილში მდინარის ჭუჭყიანი წყალი შეიჭრას, რადგან იგი მთელ მანძილზე მდინარე ბუჟეში ღიად არის ჩაგდებული, და ეპიდემიის გავრცელების კერა შეიქმნას.

შავი ზღვის აუზის გაბინძურებისათვის ათასობით მანეთი ჯარიმა გადაიხადეს ლანჩხუთის ქარხანა „ბურიის“ მესვეურებმა, რომლებიც სისტემატურად უშვებენ გაბინძურებულ, ნახმარ წყლებს მდინარე ფიჩორას შენაკად არხებში, საიდანაც ჭუჭყიანი ნაკადი იოლად ჩადის ზღვაში. როგორც ჩანს, ჯარიმებს არაფრად აგდებენ. ჩვენი ჯიბიდან ხომ არ ვიხდითო, ფიქრობენ და კვლავინდებურად განაგრძობენ მდინარის დაბინძურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ტყის დაცვის საქმეში ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის სატყეო მეურნეობებში. მთელი რიგი სასარგებლო ღონისძიებები ხორციელდება მეურნეობათა შემდგომი აღმავლობისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია უპატიოსნო ადამიანი, არად რომ აგდებს ბუნების დაცვას და ტყეს უმოწყალოდ ანადგურებს,

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობის ცენტრში, სტადიონის გასწვრივ ნახარები ჭადრის ხეებიდან იქაურობას რომ ამშვენებდა, ვიღაცამ 10 ძირი გადაჭრა. ბუნებას დაცვის მუშაკებთან ერთად დავადგინეთ ამ დანაშაულის ჩამდენი. იგი აღმოჩნდა სოფლის მკვიდრი ს. კუპრაძე, რომელმაც აღიარა — ხეები მე მოვკვერი, მაგრამ არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მეურნეობის ხელმძღვანელების დავალებითო. მისი ნათქვამი იქვე მდგომმა მუშებმა დაგვიდასტურეს. საკითხავი, რატომ გაჩეხეს ახალგაზრდობის საყვარელი თავშეყრის ადგილას გაშენებული ჭადრების ხეიანი?

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ლანჩხუთის ცენტრშიც, სადაც ქალაქის მცხოვრებლებმა შ. ჩხაიძემ, გ. პატარაიამ, გ. ღლონტმა, ვ. ჩხაიძემ და სხვებმა დღისით-მზისით ნაჯახით ჭრეს ქუჩების გამწვანებისათვის გაშენებული ჭადრის ხეები. ასე მოხდა ჩოხატაურის და ოზურგეთის რაიონებშიც.

ერთი მეტად დამაფიქრებელი ფაქტიც: თევზაცვის სახელმწიფო ზონალური ინსპექციის მუშაკებმა ამ დღეებში ლანჩხუთის ტერიტორიულ წყლებში, კერძოდ, „გურონკას“ არხში, პალიასტომის ტბის მახლობლად დაეკავეს ფოთის მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთის“ წევრები ო. იოსელიანი (ქ. ფოთის ბერდინკის ქუჩის № 45-ში მცხოვრები), გ. წულაია (ამავე ქალაქის ჭავჭავაძის ქუჩის № 148-ში მცხოვრები), გ. გრიგოლაშვილი (ხობის რაიონის სოფელ ახალსოფლის მცხოვრები), ბრაკონიერებს კატერზე მოწყობილი ჰქონდათ თევზების დასახოცი სპეციალური ელექტროდანადგარი. მათ ჩამოართვეს დაჭერილი 40 კგ. სხვადასხვა სახეობის თევზი. ამასთანავე ჩამოერთვათ და ლანჩხუთის პროკურატურას საქმეებთან ერთად გადაეცა თევზაობის აკრძალული მოწყობილობანი.

ვეკითხებით მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთის“ თავმჯდომარეს კარლო სიხარულიძეს, რატომ ხდება, რომ მათი მეთევზეები კოლმეურნეობის სახელით სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან? ახლა, როდესაც თევზები ქვირითს ყრიან და მრავლდებიან, მათი ხელყოფა ხომ ორმაგი დანაშაულია!

იქნებ საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობათა კავშირის ხელმძღვანელობამ ახლა მაინც მიიღოს საჭირო ზომები.

ჩვენი რესპუბლიკის მშვენიერი ფლორისა და ფაუნის დაცვა საშვილიშვილო საქმეა. ბუნების მტრებთან ბრძოლა ყველას ვალია. მომავალ თაობებს უნდა შემოვუნახოთ ტყე, წყალი, ბუნების ყველა სიმდიდრე.

რედაქციონალეთნი: ზური ერქომიშვილი — კომკავშირის ოზურგეთის რაიკომის პირველი მდივანი; დიმიტრი კოსტავა — სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე; კორნელი ცეცხლაძე — რაიონის მთავარი ექიმი; შალვა შავიშვილი— სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი, თამარ საჯაია — ბუნების დაცვის კომიტეტის სარაიონთაშორისო ინსპექციის უფროსი; გოდერძი მუსავია — გურიის თევზდაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი; თამაზ ხარაიშვილი — პარტიის ოზურგეთის რაიკომის პარტიული კომისიის გამგე; თენგიზ კუნჭულია — საქალაქო მეურნეობის დირექტორი; ბენსადი ტაკიძე — მერიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; თამაზ სალუქვაძე — რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორი, ვ. ჯინჭარაძე — ოზურგეთის რაიონის მონკავშირის თავმჯდომარის მოადგილე; ბეგლარ ჩხაიძე — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.



ურეკთან ბეზე: ასე აჩანაგებენ და ანაგვიანებენ მდინარე ბუჟის კალაპოტს. — იური ბეზიტაიშვილის ფოტო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

26 ივნისს ქალაქ მარნეულსა და მარნეულის რაიონში პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მეოხებით ვითარება საერთოდ სტაბილურია. 26 ივნისს ღამით ვითარება გართულდა ქალაქ ბოლნისში, სადაც არაერთგზის მოხდა შეტაკებები აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის, მთელ რიგ შემთხვევებში გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. არიან დაჭრილები. ამ დღეებში ჰოსპიტალიზებულია საერთო ანგარიშით 22 კაცი. მათ შორის — ორი მილიციის თანამშრომელი.

01 საათსა და 30 წუთზე კამაზის მარკის ავტომანქანაში მსხდომმა მოხულიგანო პირების ჯგუფმა ატეხა უწესრიგო სროლა სანადირო თოფით და ცეცხლგამჩენი ბოთლები დაუშინა ბელაზის მარკის მანქანას, რომელშიც, მძღოლის გარდა კიდევ ორი მგზავრი იმყოფებოდა. გაჩენილი ხანძრის შედეგად მძღოლმა და მგზავრებმა მაიღეს დამწვრობა.

შემთხვევის ადგილზე მოხულ მილიციის თანამშრომლებს ტყვიები დაუშინეს. სროლის დროს ავტომანქანა კამაზის მძღოლი ფაშაევი ფეხში დაიჭრა, მისი მგზავრები ნავრუზოვი და ხალილოვი დაიკავეს. მათ ჩამოართვეს სანადირო თოფი, ნაჯახი და 3 ცეცხლგამჩენი ბოთლი. მიმდინარეობს ძიება.

გარდა ამისა, ღამის განმავლობაში მომხდარი შეტაკებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრა კიდევ სამი კაცი. ვითარების ნორმალიზაციისთვის რაიონში გაგზავნილია მილიციის ჯარების დამატებითი ძალები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლნისისა და ახლომდებარე რაიონების ყველა მცხოვრებს მიმართავს გამოიჩინონ თავშეკავება და დაიცვან ხიმშვიდე, არ წამოეგონ იმ პირების პროვოკაციას, რომლებიც ცდილობენ გაამძაფრონ ვითარება. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყველა ფაქტის გამო მიმდინარეობს ძიება. დაკავებულია 40, დაპატიმრებულია 8 კაცი.

ხორცელდება აქტიური ოპერატიული ღონისძიებანი საიმისოდ, რომ მოსახლეობას ჩამოერთვას ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი.

27 ივნისს, დილით, მილიციის ორგანოებმა ქალაქ ბოლნისის განაპირას აღმოაჩინეს ბოლნისის მცხოვრების აშარამევ აჯოღლის გვამი. სიკვდილის მიზეზებს და გარემოებას იკვლევენ.

სამწუხაროდ, მოსახლეობაში ვრცელდება სხვადასხვა უსაფუძვლო ხმა და ჭორი, რომლებიც აფორიაქებს როგორც რაიონის, ისე მთლიანად რესპუბლიკის მოსახლეობას. სამართალდაცვითი ორგანოების თანამშრომლები ახორციელებენ ყველა ღონისძიებას მათი აღკვეთის მიზნით, გამავრცელებლებს პასუხისგებაშიც კი აძლევენ, რეგიონის საქმის ვითარების შესახებ რესპუბლიკის მოსახლეობა რეგულარულად იქნება ინფორმირებული.

26 ივნისს მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში იყვნენ აზერბაიჯანის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი, რომლებიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად შეხვდნენ და ესაუბრნენ პარტიულ, საბჭოთა მუშაკებს, რაიონების მოსახლეობას და მილიციის პირად შემადგენლობას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მუდამ შემოქმედებით ძიებაში

შალვა კერესელიძეზე, რომელიც ახლახან 75 წლისა გახდა, წერილის დაწერა იოლიც არის და ძნელიც. იოლია იმიტომ, რომ მას, სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს, მეცნიერებისა და ტექნიკის დასახურებულ მოღვაწეს, დასახურებულ გამომგონებელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ყველა კარგად იცნობს. 50 წელზე მეტია იგი დაუღალავად და წარმატებით მოღვაწეობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. შრომისა და ომის ვეტერანი ეს მეცნიერი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის, აგრეთვე საბრძოლო ორდენებითა და მრავალი მედლით. ჩაის დარგში ამჟამად დანერგილი 30-მდე მანქანა-იარაღის შექმნაში იგი უშუალოდ მონაწილეობდა როგორც ავტორი ან ხელმძღვანელი.

სწორედ მას ეკუთვნის ჩაის შერჩევით მკრეფავი მსოფლიოში პირველი თვითმავალი მანქანა „საქართველო“, რომელმაც ჯერ კიდევ 1966 წელს ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა და აგერ უკვე 30 წელზე მეტია მუშაობს თითქმის ყველა ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. შ. კერესელიძის უშუალო ხელმძღვანელობით აღნიშნულ მანქანას გაუკეთდა სრული მოდერნიზაცია, განახლდა და, თუ ქარხანა მის დამზადებაში არ გვიღალატებს, „საქართველო“ მომავალში უთუოდ ბევრად უკეთ იმუშავებს.

სულ ახლახან მან წამოაყენა კიდევ ერთი მიმზიდველი იდეა ჩაის საკრეფი მანქანა-კომბაინის შექმნის შესახებ, რომელიც ჩაის ფოთოლს მოკრეფს, პლანტაციაშივე ტექნოლოგიურად გადამუშავებს და, ჩაის ფაბრიკების ჩაურევლად, გამზადებულ პროდუქციასაც მოგვცემს. ამით ჩაის მზა პროდუქციის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. მას ადამიანის ხელი არ შეეხება, არც მტვერი მოხვდება და არც ფიზიკურად დაზიანდება.

ამ იდეას საფუძვლად დაედო ავტორის 11 გამოგონება, რომლებზეც უკვე მიიღო საავტორო მოწმობები. მისი განხორციელების შემდეგ, მარტო ძვირადღირებული ჩაის ფაბრიკების გაუქმებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის დაჩქარებისა და გაიაფების შედეგად მნიშვნელოვან უკუგებას მივიღებთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ შ. კერესელიძის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი სამთო ტრაქტორი „მტზ-82 კ“, რომელმაც სახელმწიფო გამოცდა წარმატებით გაიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის სერიულ გამოშვებას დღესდღეობით საშველი არ დაადგა. არადა, ამ პრინციპით უკვე ააგეს მანქანები ამერიკელებმაც, ჩეხებმაც და ბულგარელებმაც.

მისივე ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით დაპროექტდა და ასაგებადაც გადაეცა წარმოებას მსოფლიოში პირველი სამთო ჩაის საკრეფი მანქანა, რომელიც აქამდე ტექნიკისათვის მიუვალ ფერდობებზე იმუშავებს. შ. კერესელიძის სქემითა და ხელმძღვანელობით დამუშავდა, აიგო და გამოიცადა ასევე მსოფლიოში პირველი მობილური რეაქტიული დანადგარიც, რომელსაც ძირითადად ციტრუსების ყინვისაგან დაცვა ევალება, მაგრამ ის სხვა ოპერაციებსაც წარმატებით ასრულებს. იგი გამოიყენება ბაღ-ვენახების შეწამვლისათვის, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს ხელოვნურ დაწვიმებაზე, რომლის შედეგად ციტრუსების მოსავლიანობა 66 პროცენტით იზრდება, ჩაისა — 254, ხორბლის — 77 და სიმინდისა — 355 პროცენტით. დანადგარმა სავსებით დამაკმაყოფილებლად გაიარა გამოცდა ხილის ბაღების შეწამვლაზეც და რეკომენდებულია საცდელი პარტიის სახით სერიული გამოშვებისათვის.

აღსანიშნავია მანქანებით ნიადაგის ტკეპნის საწინააღმდეგო ეფექტიანი იარაღ-მოწყობილობის მისეული სქემაც, რომლის მიხედვით შექმნილი პირველი აპარატები ამჟამად წარმატებით იცდება ჩაის მეურნეობებში. მანვე დაამუშავა ყურძნის მტევნების საკრელი და ერთდროულად დამჭერი სეკატორი, რომელიც 500 000 ცალის ოდენობით უნდა გამოუშვას ქ. გორკის ქარხანამ. მანვე შექმნა ვაზის საყნობი პორტატული ორიგინალური მოწყობილობაც, რომელიც მყნობის პროცესს სავსებით დამაკმაყოფილებლად წარმართავს. ხობის რაიონის სოფელ ხორგაში მთავრდება ჰარბტენიანი ნიადაგის დაშრობის სრულიად ახალი სისტემის გამოცდა. საცდელ ნაკვეთზე მშვენივრად იზრდება ციტრუსები და მალე მათგან უხვ მოსავალს მივიღებთ. მისივე ინიციატივით დაინერგა ჩაის ფოთლის უტარო გადახიდვის პრაქტიკა, რამაც მეურნეობებს დიდი ეკონომია მისცა.

როგორც ვთქვით, ძნელია შალვა კერესელიძის ყველა დამსახურების აღნიშვნა. იგი ხომ ავტორია 100-ზე მეტი გამოგონებისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა. სულ ახლახან გ. რაზმაძესთან თანაავტორობით გამოვიდა მისი 44-თაბახიანი ნაშრომი სუპტროპიკული კულტურებისა და სამთო-მოწათმოქმედების მექანიზაციის პრობლემებზე.

ყველა ამ სასიკეთო საქმის ხორცშესხმაში ბატონ შალვას მხარში უდგანან და მასთან ერთად შრომობენ მისივე შერჩეული და აღზრდილი კონსტრუქტორები თუ მეცნიერი მუშაკები, რომელთაც იგი მუდამ პატივისცემით იხსენებს...

როცა მას ვხედავთ მუშაობაში ასე მოუღლელს, კვლავაც საოცარი მეხსიერებისა და ენერგიის მქონეს, გვიკვირს კიდეც, თანაც გვიხარია და თავადაც ენერგია გვემატება.

არჩილ კეჩხუაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მიხეილ კალატოზიშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნდობა და პასუხისმგებლობა

გაზეთი „კომუნისტის“, 1989 წლის 22 მარტი

„კომუნისტის“ კრიტიკულ პუბლიკაციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივანი რ. მაპაპაშვილი:

გაზეთი „კომუნისტის“ მოწინავე სტატიაში „ნდობა და პასუხისმგებლობა“ სამართლიანად და ობიექტურად არის შეფასებული თელავის რაიონის წინანდლის ღვინის ქარხანაში მომხდარი სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტი.

პარტიის თელავის რაიკომის გაფაფრთოებულმა ბიურომ პრინციპულად იმსჯელა წინანდლის ღვინის ქარხანაში სახელმწიფო ქონების დაცვა-შენახვის საქმეში სახელმწიფო დისციპლინის უზეშ დარღვევათა თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 21 თებერვლის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების შესახებ და განახორციელა სათანადო ღონისძიებები. დამნაშავე პირები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საქმეს იძიებს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის თელავის რაიკომის აღნიშნული დადგენილებების შესაბამისად საკითხები განხილული იქნა აგრეთვე რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებებზე, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები, რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები. კრებებზე პრინციპულად შეფასესს წინანდლის ღვინის ქარხანაში სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები და შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად. რაიონის ყველა ღვინის ქარხანაში ჩატარდა ინვენტარიზაცია, ღვინის ქარხნებში არსებულ საკადრო საკითხებს სწავლობს აგროსამრეწველო გაერთიანებაში შექმნილი სპეციალური კომისია.

დანაშაულის კვალდაკვალ

„კომუნისტი“, 1989 წლის 1 აპრილი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ: ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ბახტაძე:

რუბრიკით „დანაშაულის კვალდაკვალ“ დაბეჭდილ კრიტიკულ მასალაში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ამხელდა გლდანის რაიონში მდებარე ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სასადილოში გადამალული ჩეხური ლუდის ზედმეტ ფასებში რეალიზაციას, გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ ადგილზე შესწავლით დადასტურდა.

ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის საწყობში ადგილის უქონლობის გამო გაცვლითი ოპერაციებით შემოტანილი ჩეხური ლუდის შენახვა, სათანადო დოკუმენტის გაფორმებითა, დავალებული ჰქონდა ზემოაღნიშნული სასადილოს გამგე-მებუფეტის მოვალეობის შემსრულებელს გ. ბოჭორაძეს, რომელსაც მისი რეალიზაციის უფლება არ ჰქონდა.

გ. ბოჭორაძე გადაყვანილია თანამდებობიდან და ამჟამად ამ საქმის გამო მიმდინარეობს გამოძიება.

დაქვემდებარებული ორგანიზაციის მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის საზკვების გაერთიანების დირექტორს დ. გარდაფხაძეს ცმოეცხადა სასტიკი საყვედური.

ცეკავშირის საზკვების სამმართველოს დაევალა მისადმი დაქვემდებარებულ ობიექტებში განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი მსგავსი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და კაჭარობის წესების დანუხრელი დაცვისათვის.

„კომუნისტი“, 1989 წლის 24 მარტი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი ა. კოჩიევი:

გამოძიების შედეგად წინასწარ მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით, დადგინდა შემდეგი: 1989 წლის 6 მარტს დაახლოებით ღამის 11 საათზე ცხინვალში ჯაფარიძის ქუჩის №68 სახლის ეზოში ი. ძაგოევის პირადი ავტომობილის გარაჟში მოხდა აფეთქება.

აფეთქების შედეგად გარაჟში მყოფი ცხინვალის ყმაწვილთა საფეხბურთო სკოლის დირექტორი, სკკპ წევრი ი. ძაგოევი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნული საქმის გამო დანაშნულია სასამართლო-სამედიცინო, კომპლექსურ-პიროტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზა, რომლის დამთავრების შემდეგაც მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

საგარეჯოს რაიონის პროკურორი ჯ. მინდორაშვილი:

რუბრიკით „დანაშაულის კვალდაკვალ“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 4 მარტს საღამოს, დაახლოებით 21 საათზე, ქალაქ თბილისიდან დანით მუქარისა და ფიზიკური ძალის გამოყენებით მთვრალებმა გია ომარის ძე ადუაშვილმა და რია ალექსანდრეს ძე მამუკაშვილმა, ჯერჯერობით გამოძიებით, დაუდგენელი ავტომანქანით, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში წამოიყვანეს 18 წლის მ. წიკლაური. იგი მიიყვანეს რ. მამუკაშვილის პაპის ბინაში, სადაც მათ შეუერთდა მესამე პირი, სკკპ წევრობის კანდიდატი გოჩა გურჯის ძე სოხაშვილი. სამივემ დალია ალკოჰოლური სასმელები, რის შემდეგაც მთვრალებმა დაახლოებით ღამის პირველ საათზე მ. წიკლაური ფიზიკური ძალადობითა და მუქარით აიყვანეს სახლის მეორე სართულზე ოთახში, სადაც სცემეს, შემდეგ კი გააუპატიურა სამივემ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და სამივე დამნაშავე დაპატიმრებულია.

ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული საქმის გამოძიება, რაც უახლოეს დღეებში დამთავრდება და საქმე განსახილველად გადაეცემა სახალხო სასამართლოს.

ქალაქ წყალტუბოს პროკურორი თ. ჯაფელი:

ქალაქ წყალტუბოს პროკურატურაში, მიმდინარე წლის 4 მარტს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მაიაკოვსკის ადგილმრეწვის საწარმოო კომბინატის სამკერვალო საამქროს ოსტატ მურად ბურჯანაძის, წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან არსებული კოოპერატივის „მედეას“ თავმჯდომარის შოთა ჩიხლაძის და ამავე კოოპერატივის მოლარის ჯაბა გაბუნიას მიმართ წინასწარი შეთანხმებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და დატაცების მცდელობის ფაქტის გამო.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა: 1989 წლის 3 მარტს მაიაკოვსკის რაიონის ადგილმრეწვის საწარმოო კომბინატის სამკერვალო საამქროს ოსტატმა მ. ბურჯანაძემ, ქალაქ წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან არსებული კოოპერატივის „მედეას“ თავმჯდომარემ შ. ჩიხლაძემ და ამავე კოოპერატივის მოლარემ ჯ. გაბუნიამ წინასწარი შეთანხმებით, მაიაკოვსკის რაიონის ადგილმრეწვის საწარმოო კომბინატის სამკერვალო საამქროდან დაიტაცეს 31000 მანეთის 2000 წყვილი სპეციანსაცმელი, რომელიც უნდა შეეტანათ კოოპერატივ „მედეაში“, შეეცვალათ ფაბრიკის იარლიყი, ეჩვენებინათ, როგორც მათ მიერ წარმოებული და გაეყიდათ ზედმეტ ფასებში. დატაცებული 2000 წყვ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ
ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐ

...ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲮᲔᲠᲝᲓᲔᲡ

ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ-ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲗᲘᲜᲒᲘᲖ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ



— ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲧᲠᲓᲖᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— ᲡᲘᲙᲔᲗᲔ.

— ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ?

— ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛᲓᲐᲒᲐᲠᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲔᲚᲘ.

— ᲪᲮᲝᲒᲠᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲐᲜᲧᲔᲑᲘᲜᲐᲗ, ᲠᲐᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲓᲘᲗ ᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ?

— ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ... ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲔᲚᲣᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲢᲝᲕᲔᲑᲓᲘ.

ᲖᲘᲖᲘᲠᲝᲗ: ასე ცხოვრებაში გალაღებული, ბედის ნებიერი ადამიანები ლაპარაკობენ.

მისი „განებივრება“ ცხოვრებამ ნამეტანი ადრე დაიწყო, ის-ის იყო ორი წელი რომ შეუსრულდა, მაშინ — დედა გარდაეცვალა. მას მერე მოყვება ზიგზაგებიანი გზით ამ ნუთისოფელს, რომელმაც იმდენი მკაცრი გამოცდა მოუწყო, რომ ცოტა უფრო რბილი ნებისყოფის კაცი არაერთგზის შედრკებოდა, უკუიქცეოდა. მაგრამ მეცნიერება უნებისყოფო ადამიანს ვერ ჰგუობს, ამიტომაც შემორჩა ბოლომდე არჩეულ საქმეს.

თენგიზ ონიანი იმ თაობის შვილია, ომისშემდგომ წლებში რომ მიიღო უმაღლესი განათლება. თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ივანე ბერიტაშვილმა ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ყმაწვილს და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კათედრაზე დატოვა ასისტენტად.

კვლევის სფერო უყოყმანოდ აირჩია — ნერვ-კუნთოვანი სისტემის შედარებითი ფიზიოლოგია. რატომ მაინდამაინც ეს მიმართულება? ძალზე ნაკლებად შესწავლილი ეს უბანი ორმოცდაათიან წლებში ჩვენ ქვეყანაში ფიზიოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებად ითვლებოდა. ფაქტობრივად ყამირი იყო გასატეხი.

— ბიოლოგიის ბოლომდე შესწავლა შესაძლებელია?

— წარმოუდგენელია.

— ბუნების გარდაქმნა შეიძლება?

— არა. მასთან მხოლოდ ჰარმონიის დამყარებას უნდა ვცდილობდეთ. სხვაგვარად მკაცრად დავისჯებით, „ბუნება მბრძანებელია“...

— მეცნიერისათვის რა არის მთავარი?

— ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲙᲝᲡᲘ, ᲗᲮᲔᲑᲡ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲐᲛᲚᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ... ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲔᲛᲬᲧᲔᲛᲡᲐ ᲗᲮᲔᲑᲘ, ᲝᲠᲝᲜᲓᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲔᲛᲚᲔᲠᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, რაც მაშინ მოხდა, პარადოქსს ჰგავს, მაგრამ მაინც მოხდა. საქმე ის არის, რომ იგი ახლა, ერთი მიმართულებით ამდენი მუშაობის შემდეგ, იძულებული ხდებოდა შეეცვალა მეცნიერული მოღვაწეობის გეზი და სრულიად ახალ სფეროში გადაენაცვლა. ამას ბატონი ივანე ბერიტაშვილი მოითხოვდა დაჟინებით. იგი ხომ ემოციის და თავის ტვინის პრობლემებს იკვლევდა და სურდა ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევარს მისი საქმე გაეგრძელებინა. მაგრამ როდესაც ერთი მიმართულებით ამდენი გაგიკეთებია, როდესაც ხელშესახები შედეგისთვის მიგიღწევია, როდესაც არჩეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველდღიურობა შენი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად ქცეულა, ძნელია შეეწიო ამ ყოველივეს და ყველაფერი თითქმის თავიდან დაიწყო.

ისეთი ხასიათზე დავდექი, ვიფიქრე ყველაფერს შევეშვა, დავბრუნდე სვანეთში, ბავშვობის საუფლოში, მით უმეტეს, მეხერხებოდა გუთნისდედობა, კალატოზობა, ხის ხუროობაო. ერთი სიტყვით, დილემა ძალზე მძაფრად დადგა.

— ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲐᲕ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ.

— ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲔ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲕᲔᲠ ᲕᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ.

— ᲐᲮᲚᲐ, ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲗ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ?

— ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ.

ᲯᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, რაც მაშინ მოხდა, პარადოქსს ჰგავს, მაგრამ მაინც მოხდა. საქმე ის არის, რომ იგი ახლა, ერთი მიმართულებით ამდენი მუშაობის შემდეგ, იძულებული ხდებოდა შეეცვალა მეცნიერული მოღვაწეობის გეზი და სრულიად ახალ სფეროში გადაენაცვლა. ამას ბატონი ივანე ბერიტაშვილი მოითხოვდა დაჟინებით. იგი ხომ ემოციის და თავის ტვინის პრობლემებს იკვლევდა და სურდა ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევარს მისი საქმე გაეგრძელებინა. მაგრამ როდესაც ერთი მიმართულებით ამდენი გაგიკეთებია, როდესაც ხელშესახები შედეგისთვის მიგიღწევია, როდესაც არჩეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველდღიურობა შენი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად ქცეულა, ძნელია შეეწიო ამ ყოველივეს და ყველაფერი თითქმის თავიდან დაიწყო.

ისეთი ხასიათზე დავდექი, ვიფიქრე ყველაფერს შევეშვა, დავბრუნდე სვანეთში, ბავშვობის საუფლოში, მით უმეტეს, მეხერხებოდა გუთნისდედობა, კალატოზობა, ხის ხუროობაო. ერთი სიტყვით, დილემა ძალზე მძაფრად დადგა.

— ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲐᲕ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ.

— ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲔ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲕᲔᲠ ᲕᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ.

**— ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘᲡ ᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲔᲚᲘ.

ბაკურიანის ოლიმპიური არგუმენტები

ბაბურიანი ზაფხულია, ჩვენი რეპუბლიკის სპორტის მრავალ მოყვარულ კი კვლავ აღელვებს... ზამთრის თემა. იგი დაკავშირებულია 1998 წლის ოლიმპიურ ზამთართან, მაგრამ შორეული ახლობელი ხდება, როცა საქმე ეხება მე-18 თეთრი ოლიმპიადის გეოგრაფიას. მისი გამართვის პრეტენდენტთა შორის ხომ ასახელებენ საქართველოს ცნობილ საძთო კურორტს — ბაკურიანსაც.

— საბჭოთა კავშირი დიდი ხანია აპირებდა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის გამართვისათვის, — თქვა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ჯანსუღ ბაგრატიონმა. — ახლა, ბოლოს და ბოლოს, სსრ კავშირიც მზად არის მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსში, რათა დაიცვას უფლება პირველად უმასპინძლოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თეთრ ოლიმპიადას. მაგრამ მანამდე მოგვიწევს მოვაგვაროთ ჩვენი „სამინაო“ საქმეები და გადავსაზღვროთ, თუ რომელი კანდიდატურა წამოვაყენოთ ამ კონკურსზე. ბაკურიანის გარდა ხომ 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლის როლს იჩემებენ სოჭის მახლობლად მდებარე სამთო კურორტი კრასნაია პოლიანა და ყაზახეთის დედაქალაქი ალმა-ათა. როგორც ჩანს, ამ სამი კანდიდატიდან ერთს უკვე ივნისის დამლევს დაასახელებენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმზე. ახლა კი პრეტენდენტების საყოველთაო მასჯავრზე გამოაქვთ თავიანთი არგუმენტები. გაიმარჯვებს ის, ვისი არგუმენტებიც ყველაზე საფუძვლიანი აღმოჩნდება. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ბაკურიანი იქნება.

ბაკურიანი უკვე მრავალი წელია სარგებლობს უდიდესი პოპულარობით როგორც ზამთრის დასვენების მოყვარულთა, ისე დიდი სპორტის წარმომადგენელთა შორის. ამ წლების განმავლობაში შეძენილია დიდი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების გამართვის გვარიანი გამოცდილება — ბაკურიანი მასპინძლობდა სსრ კავშირის ხალხთა სამი სპარტაკიადის, სსრ კავშირის მრავალი ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მონაწილეებს.

მაგრამ დღეს ბაკურიანის, როგორც ზამთრის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის განვითარების პერსპექტივები გაცილებით უფრო დიდი საერთაშორისო საზომით განიხილება და „დიდი ბაკურიანის“ გენერალური პროექტი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაამტკიცეს, მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ამ მოთხოვნებს. პროექტის ავტორები არიან საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები ვახტანგ მიქელაძე, ლევან ლორთქიფანიძე, თამაზ ქავთარია, ვასილ ქობულია და მერაბ ანდრონიკაშვილი, რომლებმაც თავის დროზე გაითვალისწინეს ბევრი რამ, რაც დღეს საჭიროა უმაღლესი დონის ასპარეზობის ორგანიზაციისა და გამართვისათვის.

— მაგრამ, როცა საქმე ეხება 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობას საქართველოში, — თქვა ლევან ლორთქიფანიძემ, — პროექტში უნდა შევიტანოთ კორექტივები. უწინარეს ყოვლისა, უნდა გავაფართოოთ თანამედროვე სასტუმრო კომპლექსებისა და კემპინგების ქსელი, რომლებსაც შეეძლებათ უმასპინძლონ ოლიმპიადის მონაწილეებს, ტურისტებსა და სტუმრებს. უნდა ავაშენოთ ახალი სპორტული ბაზები ბაკურიანში. კერძოდ, გათვალისწინებული არ იყო ოლიმპიური სოფლის, მოეცგურავეებისა და შორტ-ტრეკის ასპარეზობის მონაწილეთათვის განკუთვნილი დახურული საციგურაოს მშენებლობა. უნდა გავაფართოოთ ბაგირგზების ქსელი. მოგვიწევს მთლიანად შევცვალოთ ბორჯომიდან ბაკურიანამდე ზონის ინფრასტრუქტურა.

ჯერჯერობით მაღალ სტანდარტებს შეესაბამება სამთო-სათხილამურო ტრასები, რომელთაგან ზოგიერთს მინიჭებული აქვს საერთაშორისო ლიცენზია, აგრეთვე სათხილამურო რბოლისა და ბიატლონის ტრასები. პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე საციგაო-ბობსლეის ტრასის, სასროლეთის მშენებლობა, ტრამპლინების კომპლექსის მთლიანი განახლება.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ ოლიმპიადის „დღეებში“ ჩვენს რესპუბლიკას ეწვევა ათასობით ტურისტი მრავალი ქვეყნიდან. და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მათ მისაღებად, — ჩაება საუბარში ვასილ ქობულია. — ამიტომ დაგეგმილია კომფორტული სასტუმროს მშენებლობა თბილისშიც, სადაც აშენდება ზამთრის სპორტის სახეობათა სამი სასახლე ფიგურულ მოციგურაკეთა და ჰოკეისტთა სპორტობის გამართვისთვის, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. ეს ძვირადღირებული ნაგებობები. შემდგომშიც გამოადგება რესპუბლიკას — მასობრივი სპორტის განვითარების, დიდი სანაბობითი ღონისძიებების გამართვისათვის.

რესპუბლიკის მრავალი პრობლემის გადაჭრაში გვეხმარებიან საფრანგეთის ზამთრის სპორტული ბაზების ეკიპირების საერთაშორისო კომპანიის „ლეზ არკის“, კერძოდ, მისი შვილეული ფირმის „კო-ეე-მის“ სპეციალისტები: ისინი მონაწილეობდნენ ზამთრის სამთო-სათხილამურო და ტურისტული ბაზების მშენებლობაში იასნაში (ჩეხოსლოვაკია), ბოროვაცში (ბულგარეთი), კაჰტეპში (თურქეთი), კალგარში (კანადა) და სხვაგან. ახლა რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი ზედმიწევნით სწავლობენ ბაკურიანის ზონის ინფრასტრუქტურას.

— ვფიქრობთ, რომ დრო ამოდ არ დაგვიკარგავს, — თქვა ფირმა „კო-ეე-მის“ ექსპერტმა-არქიტექტორმა ბერნარ ტაიფერმა. — ეს ადგილი შესანიშნავ პირობებს ქმნის შემოქმედებითი საქმიანობისათვის. პირადად მე ბაკურიანს საფრანგეთის საუკეთესო სამთო კურორტებს — კურშეველსა და მეეკვის შევადარებდი. ყველა წინამძღვარი არის იმისათვის, რომ ბაკურიანი დიდი ეფექტიანობით ემსახურებოდეს ტურისტულ-სპორტულ ინდუსტრიას. ასეთია ჩვენი დაკვირვებების პირველი შედეგი. ჩვენ კი ვსწავლობთ რეგიონის განვითარების ყველა მიმართულებას — სპორტულით დაწყებული და ეკონომიკიხისჯვარში. როგორც ფირმის სპეციალისტები ფიქრობენ, ამ ფერდობებზე შეიძლება რამდენიმე ათეული პირველი კლასის ტრასის გაყვანა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 150 კილომეტრი იქნება, ეს კილომეტრზე მეტი სიგრძის დაახლოებით 35 საწვეველას დამონტაჟება. ასე შეიძლება გახდეს დროთა განმავლობაში ბაკურიანი თავისი მასშტაბით უნიკალური სპორტული ზონა.

— და ბაკურიანის კიდევ ერთი ღირსება, — თქვა შემდეგ ჯ. ბაგრატიონმა. — ეს ბინა კომპაქტურობაა. აქ სამი კილომეტრის რადიუსში შეიძლება განლაგდეს ყველა ძირითადი ოლიმპიური ნაგებობა. ბორჯომის რაიონის კურორტები ერთმანეთისაგან ერთი საათის სავალზე მდებარობენ და უკვე მზად არიან მიიღონ 11 ათასი კაცი, აქედან მესამედს შეუძლია დაბინავდეს ბაკურიანში. სხვათა შორის, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე განხორციელებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თებერვალსა და მარტის დამდეგს, ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა კი სწორედ ამ პერიოდში ეწყობა, ბაკურიანში ყველაზე ხელსაყრელი ამინდია. სხვათა შორის, ბორჯომის ხეობა ოლიმპიადის მრავალ სტუმარს მიიზიდავს არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ სამკურნალო წყლებით, ჰაერით, მრავალი ისტორიული ძეგლით. თუმცა, შეიძლება გამოითქვას პრეტენზია იმის გამო, რომ ბაკურიანი შორს არის თბილისიდან, მაგრამ არის ამ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი. მიმდინარეობს მოქმედი ავტოსტრადის მთლიანი რეკონსტრუქცია, დაისვა საკითხი ძეგვის გავლით ახალი ავტომაგისტრალის გაყვანის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გზას ბაკურიანამდე. თანაც, ოლიმპიადის დღეებში აქ გაიყვანენ ორმოცწუთიან ვერტმფრინავის ტრასას რესპუბლიკის დედაქალაქიდან. ახლა ოლიმპიური ბაკურიანის ყველა დადებით და უარყოფით მხარეს, თუმცა, ისე როგორც სხვა პრეტენდენტებისას, განიხილავს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი. დავიცავთ ჩვენს მოსაზრებებს.

შ. შალოლაშვილი.
საქინფორმის კორ.

ხელოვნებისა და თანამშრომლობის ორგიტები

რობერტ სტურუა სპექტაკლს დგამს საბერძნეთში

კიდევ ერთი დადგმა გააერთიანებს ბერძნულ თეატრალურ ტრადიციებსა და ქართულ სცენურ კულტურას. თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რობერტ სტურუა საბერძნეთის დედაქალაქში გაემგზავრა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ დასადგმელად. ეს ქართველი რეჟისორის უკვე მეორე მიწვევაა ათენში. ორი წლის წინათ აქ და ქალაქ ეპიდავროსის ძველ თეატრში „ტრიუმფული წარმატება ხვდა სპექტაკლ „ელექტრას“ პრემიერას, რომელიც დაიდგა ბერძენ მსახიობებთან ერთად. სპექტაკლი დადგეს ქართველმა კულტურის მოღვაწეებმა—რეჟისორმა რობერტ სტურუამ, ქორეოგრაფმა გოგი ალექსიძემ და კომპოზიტორმა გია ყანჩელმა. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, „ქართველმა რეჟისორმა ყველაზე უკეთ მოახერხა „აენთო“ ხელოვნების სამყარო და თავისი დადგმა გაეხადა საზიფხულო სეზონის უდიდეს მოვლენად. ერთობლივმა სპექტაკლმა დიდად შეუწყო ხელი ორ ქვეყანას შორის მეგობრობის ხიდების გადებას, ჩვენი ხალხების კეთილი ურთიერთობის დამყარებას“.

გაზეთი „რიზოსპასტისი“ წერდა: „ვეულკანურ ადგილად გადააქცია ეპიდავროსის ძველი თეატრი რობერტ სტურუას მიერ სოფოკლეს „ელექტრას“ მომაჯადოებელმა დადგმამ. რეჟისორმა სცენურად შეასახა ხორცი ჩვენი თანამემამულის გენიალურ ძველ ტექსტს იმ მეთოდის საშუალებით, რომელიც აქ პირველად ვიხილეთ, ეს იყო... „კინემატოგრაფიული მეთოდი“. მაშინ ათენის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი „პროტი“, რომელმაც აღფრთოვანებული რეცენზია დაბეჭდა სპექტაკლის გამო, აღნიშნავდა, რომ საქართველოს ამ შემოქმედებითი ჯგუფთან თანამშრომლობა გაგრძელდება, რადგან „მოწვეული სტუმრები თანამედროვე მსოფლიო თეატრის გამორჩენილი წარმომადგენლები არიან...“.

და აი, ახალი დადგმა შემოქმედებით კოლექტივში, რომელიც ნაცნობი და საყვარელი გახდა, მუშაობა ბერძნული თეატრის ისეთ გამოჩენილ „ვარსკვლავებთან“, როგორიც არის ჯენი კარედი და ელენა კოზაკოსი, „ელექტრაში“ მთავარი გმირების სახეები რომ შექმნეს, სხვა შესანიშნავ მსახიობებთან ერთად. წინ არის დაძაბული მუშაობა თანამოაზრეთა კოლექტივთან, რომელსაც ორმხრივი შემოქმედებითი კმაყოფილება მოაქვს. დამდგმელი ჯგუფი ამჯერად შეიკრიბა ახალი სახელით — სპექტაკლის მხატვარია მირიან შველიძე.

(საქინფორმი).

ნოდარ ჯალალონია

ერთად, ერთგულად და ერთგულად

ვუძღვნი საქართველოში ნასულ ქართველ ებრაელებს

I

ვთქვათ და, გვიმუხთლოს უეცრად ბედმა,
გვარგუნოს მძიმე და ძნელი ხვედრი.
გაჭირვების ჟამს ყველაზე მეტად
ვინ დაუდგება ქართველ კაცს გვერდით?!

სიტყვაზე ვამბობ, საწუთრომ უღვთოდ
თუ გაგვიმეტა აგვავსო მწუხრით,—
გულთან ვინ უფრო მიიტანს ნეტავ
ჩემი სამშობლოს ტკივილს და წუხილს?

კი, ვიცი, ბევრი თბილ სიტყვას დანერს,
და უფრო მეტი სამძიმარს გვეტყვის.
ზოგიც შეიბამს მკლავზე შავ ნაჭერს,
ჩვენც რაღა გვეთქმის მადლობის მეტი.

მადლობა ყველას: ფინელს თუ ჩინელს,
ესტონელს, ლიტველს, ფრანგსა თუ უნგრელს.
ვინც საქართველოს დაღუპულ შვილებს
სანთელს დაუნთებს, საკმეველს უკმევს.

მადლობა სომეხს, ალანს თუ ალბანს,
ვინც კი მიიტანს გულთან ჩვენს გლოვას...
არონაშვილი რეზო კი ალბათ
მაინც სხვა გულით და გრძნობით მოვა.

ის არა მარტო დებთან და ძმებთან,
დავითის ანდა თამარის ძეგლთან.
ის მოვა თავის წინაპრის ძვლებთან,
ის მოვა თავის ბავშვობის წლებთან.

ამიტომ მჯერა ჩვენს დარდს და ტკივილს
ყველაზე უფრო იტირებს გულით.
ბათიაშვილი, აჯიაშვილი,
გურიელაშვილი

— ეფრაიმ გური.

აქ, აღარ თმობდა ენას წინაპრის,
იქ, ქართულ ენის ხოტბას უნდება.
ქუთაისის ბაღს როცა ინატრებს
ყველა ნალკოტი ერთად ხუნდება.

თუმცა ოფლად და სისხლად იცლება
თავის ქვეყნის და ხალხზე ბრუნვაში.
ღამე სიხმარში ელაციცება
თბილისის გამზირს, ტალახს კულაშის.

II

ჯალათებმა და იანიჩრებმა
როს ჩვენი სული კბილით ათრიეს,
როცა თბილისში ჩეხდნენ ნიჩბებით
ნინოს, მარინეს, თამარს, ნათიას.

ეს შვილის ნუკრები, ეს ჯეირნები
სამშობლოსათვის როცა გალომდნენ.
ბრმა გოგონები საქართველოს ცას
დაუნახავ ცას რომ უგალობდნენ.

მწამს ისრაელში აღარ ეძინა,
არ აძინებდა სიმღერა გედის.
თამუნას, ნანას, მარიამს, თინას
ბიბილეიშვილს ქეთევან-ქეთის.

როცა ქართველ ბიჭს ესროლეს ტყვია,
ასე მგონია ამდღეთში იმ დღეს
ტიროდა: გივი, მამუკა, გია
ახრჩობდა ცრემლი მიხეილ კრიხელს.

მჯერა, ტიროდა უფლებით შვილის
(როს შეიმოსა აჭარა შავად)
ბალუაშვილი, მოშიაშვილი,
ეფრემაშვილი შალიკო-შალვა.

ასევე მჯერა, ზეიმად აქცევს
ის ჩვენს ზეიმს და სიხარულს ჩვენსას,
ჩვენს სადღეგრძელოს პირველი ასწევს
და სიყვარულით პირველი შესვამს.

აღარ მჭირდება ფიცი და მტკიცი,
მე თვითონ ვამჩნევ, ვხედავ და ვიცი,
ქართველი კაცის ღიმილს და სიცილს
ლაზათს ქართული ცისა და მიწის.

შორიდან როგორ ეალერსება
ეხმატკბილება და ეფერება,
როგორ იღვრება ქართულ ლექსებად,
ქართულ ფერებად და სიმღერებად.

ვხედავ ქართული დროშით გაშლილით
იქაც ხარობს და ლაღობს ბავშვივით.
ჯინჯიხაშვილი, თოფჩიაშვილი,
იცხაკ დავიდი (დავითაშვილი).

III

ჩვენ ერთმანეთის სულს ვიფარავდით
ორიათასი ექვსასი წელი,
სახლის კარიდან კუბოს კარამდე
გამოგვიელია გზა ძნელზე-ძნელი.

იცის ქართველის გულმა და სულმა
სტუმრის, ძმობის და გატანის ფასი,
მაგრამ დღეს ბევრი მოსული სტუმრად
უკვე მასპინძლობს და თავზე გვაზის.

ბევრი ალალად განვდილ ჩვენს ლუკმას
გვიბრუნებს უკან,
შნამად და სისხლად,
ვისაც თავისი სამშობლო უყვარს
არ დაიჩემებს სამშობლოს სხვისას.

ამიტომ, ვიცი, რატომ ახარებთ
ჩვენი „ვაშა“ და დროშების გაშლა
სეფიაშვილებს, ბინიაშვილებს,
მიხელაშვილებს სოსოს და ვაჟას.

როგორც ყოველთვის ახლაც ვართ რწმენით,
თუკი განგებამ ისევ ინება,
ჩვენი ჭირლობა, ტკივილი ჩვენი
ყველაზე უფრო თქვენ გეტკინებათ.

კვლავ სიყვარული უნდა დავადოთ
ჩვენ ერთმანეთის გახსნილ იარებს,
ერთად, ერთგულად და ულალატოდ
სამარადისოდ უნდა ვიაროთ!

1989 წელი.

ავტორის თხოვნით ლექსის ჰონორარი გადაირიცხება აჭარაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

სპორტის ამბები

პრეგნოზები და პირველი შედეგები

ლონდონში დაიწყო ჩოგბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება — უიმბლდონის ტურნირი. ინგლისის დედაქალაქი ამჯერად 103-ე შეჯიბრებას მასპინძლობს. ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელები მონაწილეობენ. სპორტულ მიმომხილველთა მრავალრიცხოვან კომენტარებში ხაზგასმულია, რომ შვედ სტეფან ედბერგს კარგი შანსი აქვს მეორედ დაეუფლოს უიმბლდონის ჩემპიონის ტიტულს. მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ მას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს შოფლიოს №1 ჩოგბურთელი, ჩეხოსლოვაკელი ივან ლენდლი. ცხადია, მიმომხილველები არც ბორის ბეკერსა (გფრ) და ჯონ მაკენროუს (აშშ) ივიწყებენ.

რაც შეეხება ქალებს, აქ სპეციალისტები უპირატესობას ერთხმად ანიჭებენ უიმბლდონის რვაგზის ჩემპიონს, ამერიკელ მარტინა ნავრატილოვას. პრესა აღნიშნავდა ამახვილებს, რომ უიმბლდონის ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული შტეფი გრაფი (გფრ) ბოლო შეჯიბრებებში არათანაბრად თამაშობს და ამან არ შეიძლება არ იმოქმედოს მის ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე. დიდ ინტერესს იწვევს ტურნირში ახალგაზრდა ესპანელი ჩოგბურთელის არანდა სანჩესის მონაწილეობა. სანჩესმა, როგორც იცით, საფრანგეთის ამასწინანდელ ღია ჩემპიონატში დაამარცხა გრაფი და დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ჩოგბურთელად ითვლება. ცხადია, საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან აგრეთვე გაბრიელა საბატინი (არგენტინა), ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), პემ შრაივერი (აშშ).

უიმბლდონის ტურნირი, თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა, ორ კვირაში დამთავრდება.

გუშინ ლონდონიდან მივიღეთ პირველი ცნობები. ანდრია ჩერკასოვი — ჯიმ კონორსი — 3:6, 2:6, 6:4, 3:6. ალექსანდრე ვოლკოვი — ერიკ ელნხი (გფრ) — 5:7, 7:6, 3:6, 2:6, ანდრია ჩესნოკოვი — ბრედ დრეიტი (ავსტრალია) — 4:6, 6:7, 0:6, ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — ნიკოლს პერერა (ვენესუელა) — 7:6, 4:6, 6:3, 6:7, 6:1, სტეფან ედბერგი (შვეცია) — კრის პრიდემი (კანადა) — 6:3, 6:4, 6:1, ბორის ბეკერი (გფრ) — ბრაიან შელტონი (აშშ) — 6:1, 6:4, 7:6, მოს ვილანდერი (შვეცია) — მაგნუს გუსტაფსონი (შვეცია) — 6:2, 6:2, 6:2. მაიკლ ჩანგი (აშშ) — ბილ აკენლონი (აშშ) — 6:4, 6:3, 2:6, 6:3.

ქალთა ტურნირში ნატალია ზვერევამ დაამარცხა ამერიკელი რონი რეისი — 6:7, 6:2, 6:0, ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — მონიკა ჟაკეე (დიდი ბრიტანეთი) — 6:4, 6:4.

ნიკოლოზ იაკობაშვილი

გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, პროფესორი ნიკოლოზ ზოსიმეს ძე **იაკობაშვილი.**

ნ. იაკობაშვილი დაიბადა 1914 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში. 1938 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის ბიოლოგიური განყოფილება. 1944 წლიდან დოცენტია. 1945 წლიდან — საქართველოს, ეთერსეების ტრესტის მმართველი, შემდეგ — „საქცხმეთერზეთის“ მთავარი ინჟინერი, 1970 წლიდან კი საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთერზეთების მრეწველობის განყოფილების გამგე. იგი კარგად უთავსებდა სამეცნიერო, სამეურნეო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ნ. იაკობაშვილი იყო ბრწყინვალე მოქალაქე, მეცნიერი, საგართლიანი და მომთხოვნი, აშკარასთან მეტად გულთბილი ადამიანი.

მისი სახელი დიდხანს დარჩება მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
„საკვებაღრმატკომპლექსის“ საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

აქტუალური ინტერვიუ

გაერთიანების საფინდარი

როგორც ვიუწყებოდით, მუშაობა დაამთავრა საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელმა ყრილობამ. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათას ხუთასზე მეტი დელეგატი განიხილავდა საკირბორტოო საკითხებს. სკა-ბაასი სახალხო ფრონტის პროგრამის, მისი სტრატეგიული მიზნების, მოქმედების ხერხების, ტაქტიკის საკითხების გარშემო მწვავე კამათის ვითარებაში წარიმართა. ყრილობის მიმდინარეობისას რამდენიმე დელეგატს მივმართეთ კითხვით: რა აზრისანი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაზე, რომელსაც ეროვნული სახალხო ფრონტი ჰქვია.

პროფესორი ნოდარ ნათაძე: საქართველოს სახალხო ფრონტის მთავარი პრობლემა მარად ძველი და მარად ახალია: მას სამშობლოს აწმყო და მომავალი ჰქვია. ამ საქმისათვის მრავალნი იბრძვიან და იღვწიან დღეს. ყველას თავთავისი ადგილი აქვს. ამათში სახალხო ფრონტს შნიშვნელოვანი ასპარეზი ეკუთვნის.

ფრონტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვინც ერის კეთილშობილური, ზოგადადამიანური იდეალებისათვის იბრძვის.

სახალხო ფრონტს მართებს სიტყვაც და საქმეც, — ჭეშმარიტი სიტყვა და კეთილი საქმე. ჭეშმარიტი სიტყვა ის გახლავთ, რომ სახალხო ფრონტმა ღიად, ალაღად, დასაბუთებულად და მტკიცედ უნდა გახაცხადოს ქართველერის ნება, მისი პოზიცია და მისი მსჯავრი დიდი და მცირე მოვლენების გამო.

სიტყვაც საქმეა, მაგრამ საქმე მხოლოდ სიტყვით არ ამოიწურება. სახალხო ფრონტს მართებს პრაქტიკული მოქმედება ისეთი მასშტაბისა, რომ ხელშესახები დადებითი კვალი დაატყოს საქართველოს მომავალს.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ჩვენი მიწის განაავებას, ბუნების ხელყოფას, ზნეობრივ გადაგვარებას, სხვა სოციალურ წყლულებასაც.

ჩვენი მიზანი ეროვნულიც არის და სოციალურიც, ჩვენ ვიბრძოლებთ დემოკრატიისთვისაც და ეროვნული უფლებებისთვისაც კაცობრიობის მიერ ალიარებული სამართლებრივი და მორალური ნორმების საფუძველზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სოლომონ ხუციშვილი: ამ დღეს მართლაც ველოდით, დამფუძნებელ ყრილობას, რომელმაც საჯაროდ გამოაცხადა ის საკითხები, ის იარები, რომლებიც ჩვენს ეროვნულ სხეულს აქვს და ელის უეცარ წამალს. ვიმედოვნებთ, რომ ამ წამლის მიმწოდებელი განსაკუთრებით იმრავლებს ახალი თაობიდან. მან კარგად იცის ავი და კარგი, კარგად არჩევს ერთმანეთისაგან მტერსა და მოყვარეს.

რეფისორი ბუბა ხოტივარი: აუცილებლად უნდა მივაღწიოთ კომპრომისს სხვადასხვა დაჯგუფებებსა თუ გაერთიანებებს შორის. უნდა შეიქმნას ერთიანი ორგანიზაცია სახალხო ფრონტისა, რომელიც შეისისხლხორცებს ყველა დაჯგუფების საუკეთესო აზრებსა და მიმართულებებს და, თუ გვინდა ხალხი ჩვენს გვერდით დადგეს, საჭიროა გავიზიაროთ საზოგადოების ყველა ფენისა და ჯგუფის სამართლიანი მოთხოვნები.

მწერალი კობა არაბული: ვფიქრობთ, ფრონტის გამეობამ მომავალ მუშაობაში უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმოს რეგიონებში არსებულ ვითარებას, მომწიფებული ეკოლოგიური თუ დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტას, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის დაძლევას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ყველა სფეროში.

რეფისორი ლანა ღოღობერიძე: ხუთი უაღრესად მეღელვარე დღე გავატარეთ. იყო აზრთა ჭიდელი, ვნებათა შეხვა-შემოხვა, ხშირად ქართული ტემპერამენტის შეუზღუდველი გამჟღავნება. და მაინც, მე ვფიქრობ, საბოლოოდ გონიერებამ გაიმარჯვა. ეს კი ჩვენი გაერთიანების საწინდარია.

იზა ჯაფარაძე.

გახსენება

აქ რომ ვარსკვლავი კიაფობს...

ბურჯაანი. („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი). ზაფხული მძლავრობს კახეთში. პირველ ჭირნახულს იმკის აქაური მშრომელი. ატმის და ახლადგალეწილი თავთავის სურნელით შეეგება გურჯაანი გასულ კვირადღეს მრავალრიცხოვან სტუმარს, ცნობილი საბჭოთა კინოვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის გახსნაში რომ მიიღო მონაწილეობა.

კვლავ ახმიანდა ანდრონიკაშვილების კარმიდამო. პირველად კი ამ ეზო-ყურეში მსახიობის ნიჭის თაყვანისმცემლებმა 1981 წლის 28 ივნისს მოიყარეს თავი, როდესაც აქ ნატო ვაჩნაძის შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი საექსპოზიციო დარბაზი გაიხსნა. მსახიობისადმი შეუნელებელ ყურადღებაზე ისიც მეტყველებს, რომ ყოველწლიურად ათიათასზე მეტი კაცი ათვალიერებს აქ წარმოდგენილ ფოტო თუ სხვა დოკუმენტურ მასალას.

დაახლოებით 28 წამყვანი როლი განასახიერა ნატო ვაჩნაძეს ეკრანზე. მისი ღვაწლი ოთხი ორდენით აღინიშნა, თუმცა მისი, როგორც შემოქმედის მთავარი ჯილდო მაინც მშობელი ხალხის სიყვარული და თაყვანისცემაა. ვარსკვლავები არ ქრებიან. დღეს ნატო ოთხმოცისა იქნებოდა...

სახლი, რომელიც ნატოს მამის პაატა ანდრონიკაშვილის მიერ XIX საუკუნეშია აშენებული, პირველდელი სახით აღდგენილი იხილეს სტუმრებმა. საამისოდ დიდი მუშაობა გასწიეს გურჯაანელმა მშენებლებმა, რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქიტექტორ-რესტავრატორ ბ მ ა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ. მუზეუმის მუშაკებმა მონდომება არ დაკლეს ექსპოზიციის სათანადოდ მოწყობას. აქ წარმოდგენილი ნივთები, დოკუმენტური მასალები სრულად გამოხატავენ გარდასული წლების სულს.

აღდგენილი სახლის ფუძე-ჭერი აკურთხა ბოდბის ეპარქიის მთავარმა ეპისკოპოსმა ათანასემ. შემდგომ გაიმართა სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. დამსწრეთ ტრადიციადქცეული ნატორობა მიულოცა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა დავით სარიშვილმა. ნატო ვაჩნაძის შემოქმედებაზე ისაუბრეს რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა რეზო ჩხეიძემ, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა აკაკი ძიძიგურამ, ცნობილმა მსახიობებმა ოთარ კობერიძემ, ლია ელიავამ და სხვებმა. გამოსულთა სიტყვებს „რაიონის შემოქმედებითი კოლექტივების მიერ შესრულებული ქართული სიმღერები და ცეკვები ენაცვლებოდა. დასასრულს ნატო ვაჩნაძის ვაჟმა, ცნობილმა კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამაგი დასდო ამ საშვილიშვილო საქმეს.

შემდგომ სტუმრები ყურადღებით გაეცნენ სახლ-მუზეუმს. მის შთაბეჭდილებათა წიგნში გაჩნდა პირველი ჩანაწერები.

საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა ყრილობა

თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა VI ყრილობამ. დელეგატებმა განიხილეს მედიცინის ამ დარგის სპეციალისტთა სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შედეგები უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, დასახეს შემდგომი კვლევის პერსპექტივები.

საქინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფესორ **გიორგი უშვერიძეს.**

— როგორია რესპუბლიკის მედიკოსთა წვლილი მედიცინის მეცნიერების ამ მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებაში?

— უკანასკნელი წლების მანძილზე მეცნიერებმა გამოავლინეს ახალი, პერსპექტიული საკურორტო ადგილები, შეისწავლეს მათი კლიმატური თავისებურებანი და მინერალური წყაროები, შეიმუშავეს ახალი კურორტების შექმნის, საკურორტო ფაქტორების მეშვეობით სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლის რეკომენდაციები.

რესპუბლიკის კურორტოლოგები და ფიზიოთერაპევტები გახდნენ მედიცინის მეცნიერების ახალი მიმართულების — სპელეოთერაპიის პიონერები. მათ შეძლეს დაედგინათ, რომ კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი ჰაერტონიისა და ჰიპოტონიის, გულსისხლძარღვთა სისტემის ნეგროზის, ბრონქიალური ასთმის, ქრონიკული პნევმონიის მკურნალობის ეფექტიანი საშუალება გამოდგა. საქართველოში ამ სახეობის საკურორტო მკურნალობის ფართო განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებია შემუშავებული.

ახალი თვალსაზრისით შეისწავლეს საქართველოს ზოგიერთი სასმელი მინერალური წყალი მათში შემცველი მიკროელემენტების ფარმაკოლოგიური მოქმედების გათვალისწინებით. აღმოჩნდა, რომ შეიძლება ისინი წარმატებით გამოვიყენოთ შაქრის დიაბეტის მკურნალობისათვის.

სამკურნალო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ მაგნეტურ ველსა და ლაზერს. მეცნიერებმა გამოავლინეს ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტების მეშვეობით გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლის შესაძლებლობა. ამასთან, ისინი შეჰყავთ კაწში ფიზიოთერაპევტული მეთოდებით. შემუშავებულია სამკურნალო ფიზიკულტურისა და მასაჟის გამოყენების ორიგინალური ხერხები ზოგიერთი სენის მკურნალობაში. მედიკები დაეუფლნენ საკურორტო ფაქტორების გამოყენებას იმ ავადმყოფთა რეაბილიტაციისათვის, რომლებმაც მოიკარდის ინფარქტი გადიტანეს. ამ მაგალითების განხრძობა შეიძლება.

**— თქვენი აზრით, რა პრობლემები